# ქრისტე აღსდგა!



ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული“

2016 წელი № 4

30 აპრილი № 8110

**განთიადი**

**85 წელი თქვენთან ერთად!**




უფლისციხე

მარიამ ბესიაშვილის ფოტო



ბუნებრივია, ადამიანური შეხაძლებლობებით წარმოუდგენელია მრავალი ათასი კაცის და ქალის, ქალწულისა და პატარა ბავშვის დარწმუნება, იმაში, რომ სიკვდილის შემდეგ მომავალი მარადიული ცხოვრებისათვის მსხვერპლად შეეწირათ საკუთარი სიცოცხლე, დაეძლიათ ათასგვარი წამება, გამხდარიყვნენ მშიერი მხეცების ლუკმა ან დამწვარიყვნენ კოცონზე.

და ვინ მიაღწია ყოველივე ამას? ჩვეულებრივმა ჯვარცმულმა? მაგრამ ამ ქვეყნად მანამდეც რამდენი მომკვდარა და არავის გაუკეთებია ასეთი რამ. იქნებ მოგონებით და ხალხის მოტყუებით შეძლო ეს. ისტორიამ უამრავი მოგვი და თაღლითი იცის, მაგრამ მათი სახელიც და საქმენიც ისე მიეცნენ დავიწყებას, პატარა ნაკვალევიც კი არ დაუტოვებიათ და სიკვდილის შემდეგ მათი ძლიერებაც განქარდა. ქრისტეს სახელი და სიდიადე და მის მორწმუნეთა რიცხვი კი დღითიდღე იზრდება და მთელ სამყაროს მოიცავს.

ურწმუნონი შიშით ძრწიან, ხოლო მორწმუნენი ხმამაღლა აცხადებენ: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

იოანე ოქროპირი

## ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სოფელ ხოვლეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმს ეწვია.



პრეზიდენტმა დაათვალიერა აკადემიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-მასალა, მისი პირადი ნივთები და ფოტო - ალბომი "სურათები ივანე ჯავახიშვილის საოჯახო ალბომიდან."



ალბომი საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა.

პრეზიდენტთან ერთად სახლ-მუზეუმში იმყოფებოდნენ შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი.

## სკოლის რეაბილიტაცია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილემ ამირან შავშიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მანუჩარ მერებაშვილმა და კასპის საგანმანათლებლო





რესურსცენტრის უფროსის მ/შ რუსუდან მიგრიაულმა სოფელ ოკამის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

სკოლა 600 მოსწავლეზეა გათვლილი და რეაბილიტაციის შემდეგ ყველა თანამედროვე სტანდარტს დააკმაყოფილებს.

ამჟამად სკოლაში 400 მოსწავლე სწავლობს და მალე მათ სწავლის საუკეთესო პირობები ექნებათ. სკოლის რეაბილიტაცია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფარგლებში მიმდინარეობს.

## პაატას ქუჩის მოასფალტება დაიწყო

2016 წელს კასპის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები კვლავ გააქტიურდა. ამჯერად პაატას ქუჩის რეაბილიტაცია - მოასფალტება დაიწყო, რომელსაც შპს კომპანია "ბლექ სი გრუპი" განახორციელებს.

ქუჩაზე ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება №1 საჯარო სკოლიდან №3 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა დამატებამ კიდევ უფრო მეტად გააქტიურა. აღნიშნული ქუჩის საფარი კი დაზიანებული, დისკომფორტული და საავარიო სიტუაციებისაგან არცთუ დაზღვეულია.

ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის დახურული კიუვეტები, საფეხმავლოები, ბეტონის ბორდიურები, ეზოში შესასვლელები და დაირგვება ფოთლოვანი ჯიშის ხეები. ქუჩის რეაბილიტაციაზე 932 232 ლარი დაიხარჯება და მოსახლეობა



გადაადგილებას უკვე კეთილმოწყობილი ქუჩით შეძლებს.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

## მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან

მეცნიერ ჯონ დაუნის მიერ აღმოჩენილია ქრომოსომული დაავადება — დაუნის სინდრომი, რომლის დროსაც ნაცვლად 46 ქრომოსომისა გვხვდება დამატებითი ერთი ქრომოსომა 21-ე წყვილში ე.წ. ტრისომია. 2006 წლიდან კი სიმბოლურად "21.03" მსოფლიო კალენდარში აღინიშნა, როგორც დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე. საზოგადოებამ დაძლია სტიგმა, ბავშვებს მიეცათ ინკლუზიური განათლების და რესოციალიზაციის უფლება. მსოფლიომ ერთხელ უკვე თქვა: "მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან". დაუნის სინდრომის მქონენი კი ყოველ წელს საზოგადოებას უგზავნიან მესიჯს. 2016 წლის გზავნილია "ჩემი მეგობრები — ჩემი გარემოცვა".

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ახლადარჩეულმა) თავმჯდომარემ მანუჩარ მერებაშვილმა უფლება-მოვალეობის დაწყებისთანავე მეგობრობა, თანადგომა და მზრუნველობა შესთავაზა კასპის რაიონში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს: თეონა ასლანიშვილს (კასპი), საბა ბერიაშვილს (სოფ. თელიანი), ბადრი ბიძინაშვილს (სოფ. ქვემო გომი), გიორგი შარიფაშვილს (სოფ მეტეხი).

მანუჩარ მერებაშვილმა საკუთარი ფინანსებით და ორგანიზებით 2-3 მარტს ეს ბავშვები მშობლებთან ერთად



(მათი პატრონაჟის ქვეშ) გაამგზავრა ბაკურიანში. ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი, კვებით და გართობით.

"მზის შვილების" მესიჯს საკრებულოს თავმჯდომარემ მანუჩარ მერებაშვილმა ქველმოქმედებით უკვე უპასუხა.

## ეტლი საჩუქრად

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მანუჩარ მერებაშვილმა, ქვემო გომში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე 5 წლის ნიკოლოზ ბედოიძეს საჩუქრად ეტლი გადასცა. ნიკოლოზ ბედოიძეს დამოუკიდებლად გადაადგილება უჭირს, ამიტომ მანუჩარ მერებაშვილმა ეტლისთვის, გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის დირექტორს ქალბატონ თინა ბრეგვაძეს მიმართა. კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო თინა ბრეგვაძეს მადლობას უხდის თანადგომისათვის.



გამოიწერეთ
"ახალი
განთიადი"
გახდით ჩვენი
მკითხველი!

## დამატებით - ახალი ჯგუფი

სოფელ დოესის საბავშვო ბაღში ახალი ჯგუფი გაიხსნა. ჯგუფის გახსნამდე შენობას შეეცვალა სახურავი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ახალი ჯგუფის ოთახებს, შეიძინეს ახალი ინვენტარი, საწოლები და სათამაშოები. საქართველოს მთავრობამ საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვება უფასო გახადა, რამაც ბავშვთა კონტინგენტი გაზარდა. დღეს სწორედ ამ ფაქტის წინაშე ვდგავართ - დამატებით გავხსენით ახალი ჯგუფი. მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში, სამი წელია ეტაპობრივად სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვატარებთ და ამ პროცესს გავაგრძელებთ, ვიდრე ოცდაექვსივე ბაღი სრულად არ აღდგება. გვინდა ჩვენს მომავალ თაობას სათანადო პირობები შევუქმნათ - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

პატარა აღსაზრდელები სტუმრებს ლექსებითა და სიმღერებით მიესალმნენ.

# უკან დარჩა უიმედობისა და უსახსრობის მრავალი წელი

კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბავშვები და მათი აღმზრდელ-მასწავლებლები ამიერიდან ახლადგარემონტებულ და კომფორტულ, მოწყობილ გარემოში გააგრძელებენ მეცადინეობას.

ა ხ ლ ა ხ ა ნ პრეზენტაცია გაიმართა მოსწავლეთა სახლში. ახალსახლობაზე, რა თქმა უნდა, სტუმრებიც ეწვივნენ მოსწავლეებს. აქ იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები, საკრებულოს დეპუტატები, კულტურის, განათლების მუშაკები, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტები, მშობლები. სტუმარ-მასპინძლები პატარა, მაგრამ კეთილმოწყობილ, ლამაზი ინვენტარით დამშვენებულ დარბაზში სასაუბროდ შეიკრიბნენ.

— მომავალ თაობაზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა უპირველესი ამოცანა გახლავთ, — განაცხადა საუბრისას კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, — დარწმუნებული ვარ, რომ მოსწავლეთა სახლში სასწავლო და სააღმზრდელო პროცესი კიდევ უფრო ნაყოფიერი და ეფექტური გახდება, თვალნათლივ იგრძნობა ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა სახლში შექმნილ ნორჩ შემოქმედთა წრეებში გაერთიანებული არიან მონდომებული, გამორჩეული უნარით დაჯილდოებული ბავშვები და ცხადია, ამას ხელშეწყობა და ჩვენი დახმარება სჭირდება.

მართლაც, აქამდეც შესამჩნევად, ორგანიზებულად და თავგამოდებით ახერხებდნენ შემოქმედებით საქმიანობას მოსწავლეთა სახლში არსებული უფასო წრეები, მათ შორის: ქართული, რუსული და ინგლისური ენების შემსწავლელი, სიმღერისა და გალობის, ფოლკლორის, ხელგარჯილობის, ჭრაკერვის წრეები, აქ ფუნქციონირებს აგრეთვე, თეატრალური და უმცროსკლასელთა კლუბი, ქარგვის, გიტარაზე დაკვრის, სამოქალაქო თავდაცვისა და ნორჩ ნატურალისტთა, ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის, ტანვარჯიშის, ხმისა და მუსიკის პროგრამული ტექნოლოგიების, ხატვის წრე. ერთი სიტყვით, იმასაც ამბობენ, რომ მოსწავლეთა სახლში არსებული შემოქმედებითი ჯგუფების ჩამონათვალი შესაძლოა კიდევ გაიზარდოს, ვინაიდან ახლა უკვე საგრძნობლად გაუმჯობესებულ სამუშაო და სასწავლო პირობებში უფრო მეტი ენთუზიაზმი, მოტივაცია გაუჩნდებათ როგორც პედაგოგებს, ასევე ბავშვებსაც, რასაკვირველია, გაჩნდება მოსწავლეთა სახლში გაერთიანების კიდევ ბევრი მსურველი...



— უკან დარჩა უიმედობისა და უსახსრობის, ძნელბედობის მრავალი წელი, ერთ უბადრუკ და ავარიულ შენობაში ვიყავით შეყუჟული, სინათლე ჩვენ არ გვქონდა და სასმელი წყალი, — განაცხადა თავის ემოციურ თან მადლიერებით აღსავსე გამოსვლისას მოსწავლეთა სახლის დირექტორმა ლელა პეტრიაშვილმა, — ვერც კი წარმოვიდგენდით, თუ ასეთი ფუფუნება გვექნებოდა ოდესმე. რომ არა ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი გოჩა გოჩიტაშვილის დიდი ძალისხმევა, ზრუნვა და მხარდაჭერა, ალბათ, ეს საქმე ბოლომდე ვერ მივიდოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ბატონმა გამგებელმა სწორად და მართებულად განსაზღვრა ჩვენს ქალაქში მოსწავლეთა სახლის არსებობის არსი და მნიშვნელობა, ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ საჭირო სახსრები გამოენახა ჩვენთვის და დაგვაფინანსა, თუმცა, არც ისე მარტივი იყო ამის გაკეთება, მაგრამ მრავალი სირთულის მიუხედავად, შარშან, შემოდგომაზე დაიწყო ეს საქმე და ახლა უკვე გალამაზებულ, ყველაფრით აღჭურვილ სამეცადინო ოთახებში მუშაობენ ბავშვები. მოსწავლეებისა და მშობლების, ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის სახელით ულრმეს მადლობას მოვახსენებ ბატონ გამგებელს თანადგომისა და ამაგისათვის. ჩვენს დასახმარებლად ენერგიას არ იშურებდნენ აგრეთვე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.

ოფიციალური ღონისძიების დასრულების შემდეგ საპატიო სტუმრებს თავიანთი მოკრძალებული შემოქმედება წარუდგინეს მოსწავლეთა სახლის მომღერლებმა, მგალობლებმა, ფოლკლორისტებმა, ტანმოვარჯიშეებმა, დეკლამატორებმა...

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**



## ქალაქ კასპის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი სტუმრობდა

ც ნ ო ბ ი ლ ი ქართველი კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი ორი დღის განმავლობაში სტუმრობდა ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს. კომპოზიტორმა, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მუსიკის დარგში - პატარა აღსაზრდელებს საკუთარი სიმღერები მიუძღვნა. პატარები კომპოზიტორის სიმღერებმა ძალიან გაამხიარულა.

საბავშვო ბაღების პედაგოგებმა და აღსაზრდელთა მშობლებმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებსა და კომპოზიტორს.



## დოესის საზეიმო ბაგა–ბაღში

სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა მომავალი თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში დღევანდელობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრგან, ბაგა-ბაღები იმდენად გადატვირთულია, რომ შეუძლებელია ყველასათვის სკოლამდელი აღზრდის მიღების ხელმისაწვდომობა, არადა, მიზანი ერთია, ყველა ბავშვმა უნდა შეძლოს სკოლამდელი განათლების მიღება. აი, სწორედ ამ მიზნით იყო განპირობებული, რომ დოესის საბავშვო ბაგა-ბაღში (გამგე სოფო როინიშვილი) კიდევ ერთი ახალი ჯგუფი გაიხსნა...

— ახალი, მესამე სააღმზრდელო ჯგუფის გახსნამდე, რა თქმა უნდა, ორგანიზებულად და დროულად ჩატარდა სარემონტო, კეთილმოწყობის სამუშაოები, — საუბრობს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, — კაპიტალურად გარემონტდა სააღმზრდელო და საძინებელი ოთახები, უკვე წესრიგში მოყვანილი და გალამაზებული ოთახები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით. მაგალითად, შევიძინეთ ახალი ავეჯი: საწოლები, ლეიბები, მაგიდები, სკამები, ხალიჩა, ფარდები, ბუნებრივია, არ დაგვვიწყნია ბავშვებისათვის სათამაშოების შეძენაც. ერთი სიტყვით, ა ხ ლ ა დ გ ა ხ ს ნ ი ლ სააღმზრდელო ჯგუფში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ პატარებმა მიიღონ შესაფერისი აღზრდა, მინდა გითხრათ ისიც, რომ მიმდინარე სასწავლო წელს ბაღის 30 კურსდამთავრებული მიუჯდება სასკოლო მერხს.

ა ხ ა ლ ი სააღმზრდელო ჯგუფი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა, რომელსაც ბევრი სტუმარი დაესწრო, აქ იყვნენ სოფლის აქტივისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლები, ბაღის ბავშვების მშობლები...

ბ ა ღ ი ს პედაგოგიურ კოლექტივსა და აღსაზრდელებს, სოფლის მოსახლეობას ახალი შენაძენი გულითადად მიულოცა და სრულ მხარდაჭერას შეჰპირდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი. ახალი ჯგუფის საზეიმო გახსნას სტუმრობდნენ გამგებლის მოადგილეები ჯამბოლატ ქამხაძე და თეიმურაზ ხიზანაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. ბაღის პედაგოგიურმა კოლექტივმა, აღსაზრდელებმა და მათმა მშობლებმა მადლობა გადაუხადეს გამგებელს ასეთი ზრუნვისა და მხარდაჭერისათვის.



**კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**

# გულით ნაშობში...

საბავშვო მწერლის ყამარ ტიელიძე-ბლიაძის შემოქმედებას კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. მის მრავალფეროვან, მდიდარ



შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ლექსებსა და მოთხრობებს, გამოცანებს, ანდაზებს, რებუსებს... ნორჩ მკითხველთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მწერლის ბოლოდროინდელი წიგნი “ყამარ ბებოს ნობათი”, რომელმაც მარტო ბავშვების კი არა, დიდების ყურადღებაც მიიპყრო. ასე რომ, მისი სამშობლოსადმი სიყვარულით გამსჭვალული ნაწარმოებები დღითი დღე იძენს აქტივობას, მან არც უფროსები დატოვა გულნაკლული და ყურადღების გარეშე, მათთვის შეადგინა და გამოსცა შესანიშნავი წიგნი “სამარხვო ტრაპეზი”.

ქალბატონმა ყამარმა ამ ორიოდე წლის წინ უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დააარსა მართლმადიდებლურ-შემეცნებითი ჟურნალი “ლამპარი”, რომელიც სულ მალე ყველა თაობის მკითხველის საყვარელ გამოცემად იქცა... ქალბატონი ყამარი გახლავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მიღებული აქვს მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემია, იგი არჩეულია ორგზის მეცნიერებათა აკადემია “ფაზისის” და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად...

პატარების უსაყვარლესი მწერალი ყამარ ტიელიძე-ბლიაძე ამჟამად მუშაობს ახალ წიგნზე და უახლოეს მომავალში პატარებს კიდევ ერთი სიხარული ელით. აი, სწორედ მწერლის უახლოეს გეგმებსა და შემოქმედებით საქმიანობაზე ისაუბრეს კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების საბავშვო განყოფილების ორგანიზებით გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, რაც ყველაზე მთავარია, იმ დღეს მწერალთან შესახვედრად კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის /მენეჯერი მაია აბუაშვილი/ დარბაზში მოვიდნენ კასპის სკოლა-გიმნაზიის /დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი/ მეორე კლასის მოსწავლეები... შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების სპეციალისტმა ციცინო ქენქაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოწვეული საპატიო სტუმრები: მწერალი ყამარ ტიელიძე-ბლიაძე და მისი უახლოესი მეგობარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომელი გულიკო ქენქაძე. მან თავის რამდენიმეწუთიან გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის დეტალებზე, შემდეგ სტუმრებს მიესალმნენ ბავშვები, სკოლა-გიმნაზიის მეორე კლასის /დამრიგებელი მაია მერებაშვილი/ მოსწავლეები, რომლებმაც თავი მოაწონეს დამსწრე საზოგადოებას თავიანთი “მჭევრმეტყველებით” და სტუმრის მოსახიბლად მხატვრულად წაიკითხეს მისი ლექსები და ამონარიდები მოთხრობებიდან... ემოციებს ვერ ფარავდა მასპინძლობით მოხიბლული მწერალი და ქალბატონმა ყამარმა კმაყოფილების ნიშნად წაიკითხა პატარების საყვარელი ლექსები.





... შეხვედრა იყო ძალიან თბილი, გულღია და სასიამოვნო, ყველაფერი ეს კიდევ უფრო უშუალო და დამაჯერებელი გახადა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა გოჩიტაშვილის სტუმრობამ. მან სიტყვით გამოსვლისას ულრმესი მადლობა გადაუხადა სტუმრებს, კმაყოფილება გამოთქვა ამ კულტურული ღონისძიებისათვის და მოსწავლეები წამახალისებელი სიგელებით დააჯილდოვა... ღონისძიებას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე გზირიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი.

შეხვედრას უძღვებოდა ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი ლია მენაბდიშვილი.

**კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.**

**,,საუბრები სახვით ხელოვნებაზე,,**

# ტაძრის კედლებზე შემონახული ქრისტიანული ხელოვნება

მარტის ბოლოს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩატარდა ლექცია “საუბრები სახვით ხელოვნებაზე”, რომელსაც ესწრებოდნენ განათლებისა და კულტურის მუშაკები, კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის აღსაზრდელები, მოწვეული სტუმრები... ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მუზეუმთან არსებული სამხატვრო გალერეა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, საინფორმაციო მხარდამჭერი: გაზეთი “ახალი განთიადი”.

ლექციის დაწყებამდე ღონისძიების ორგანიზატორებმა სტუმრებს დაათვალიერებინეს მუზეუმის ფონდში დაცული კასპის რაიონის მხატვრების როგორც ადრინდელი, ასევე თანამედროვე მხატვრების ფერწერული ტილოები.



ლექცია-საუბარი, რომელიც ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და მთლიანად მიეძღვნა ქართული ტაძრების კედლებზე შემონახულ ქრისტიანული ხელოვნების შექმნის ისტორიასა და მნიშვნელობას, დამსწრე საზოგადოებამ უდიდესი ინტერესით მოისმინა... მომხსენებელმა, მხატვარმა იორამ იმედაშვილმა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერა კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრების კედლებზე შემონახული, ამავე დროს, არაერთგზის აღდგენილი ქრისტიანული მხატვრობის ისტორია. მისივე თქმით ნებისმიერი ხელოვანი, რომელიც დაკავებულია საეკლესიო კედლის მხატვრობით უდიდეს ვალდებულებასა და ტვირთს იღებს, ვალდებულებებს შორის, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ტაძარს უამრავი მრევლი ჰყავს და მის კედლებზე გამოსახული ფრესკების წინაშე მუხლს იყრის მლოცველი, ამიტომ სახვით ხელოვნებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება. აბა, წარმოიდგინეთ, შუა საუკუნეებში, როდესაც არ არსებობდა წიგნი, არც რაიმე სხვა საინფორმაციო საშუალება და ხალხი სახარებას მხოლოდ ეკლესიის კედლებზე მოხატული ფრესკების საშუალებით ეცნობოდა, ამიტომ მხატვარი სიზუსტესთან, ნიჭთან ერთად სულსა და გულს, განწყობას აქსოვდა თავის ქმნილებას...

საინტერესო ლექციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სამომავლოდ ამ თემაზე კიდევ უფრო გაიღრმავებენ ცოდნას.

**კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.**

**წელიწადის მეხუთე დრო**

რუბრიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გააცანით ისინი საზოგადოებას.

# მასპინძლობდა „ზამბეზია"

კასპის ბავშვთა და მოზარდთა გასართობი ცენტრი (ხელმძღვანელი ბესიკ ცინცაძე) "ზამბეზია" აქაური პატარების თავშეყრის ადგილია. ბავშვების დაბადების დღის აღსანიშნავი პატარა წვეულების გარდა, ცენტრში ეწყობა აგრეთვე, გასართობი და სხვა საზეიმო შეხვედრებიც... სულ ახლახან კი, გასართობი ცენტრის ხელმძღვანელებმა კასპელ პატარებს ნამდვილი სიურპრიზი მოუწყვეს. საქმე ის გახლავთ, რომ თბილისის თოჯინების სახელმწიფო პროფესიული თეატრის (დირექტორი თემურ ბადრიაშვილი, სამხატვრო ხელმძღვანელი ელენე მაცხონაშვილი) ინიციატივით საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

დიახ, გასართობი ცენტრის ლამაზ, მოხდენილ სცენაზე კასპელმა ბავშვებმა ნახეს ყველასათვის კარგად ცნობილი და პოპულარული ორმოქმედებიანი პიესა / დამდგმელი რეჟისორი შოთა ცუცქირიძე/ "ბატის ჭუკი".
ამ უფასო წარმოდგენაზე მოწვეული იყვნენ კასპის საჯარო სკოლების სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვები.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის მსახიობები:



თეა შეშაბერიძე / მანანა /, მანანა წიკლაური /ბატის ჭუკი /, გიორგი ღონღაძე /ზღარბი /, მაია მალხაზიშვილი / მელაკუდა /, სპექტაკლის ტექნიკური რეჟისორი და დასის გამგე ნათელა ქენქაძე.

— ეს არ გახლავთ ერთჯერადი ღონისძიება, თეატრალური წარმოდგენები და საზეიმო შეხვედრები სხვა დროსაც გაიმართება, თუკი, რა თქმა უნდა ამის სურვილი ექნებათ ბავშვებსა და მათ მშობლებს, — აცხადებს გასართობი ცენტრის დიჯეი გოგა აზმაიფარაშვილი, — როგორც უკვე იცით ეს იყო უფასო წარმოდგენა სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად და გვინდა, რომ ასეთი ღონისძიებები ხშირად ჩატარდეს.

სპექტაკლის ჩვენებისას ბავშვებმა დიდი ემოცია და ინტერესი გამოხატეს, პატარა მაყურებლები სიხარულს ვერ ფარავდნენ, მადლიერება და უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს მშობლებმაც:

მაია ბაშარული — მიკრორაიონში ვცხოვრობ, შვილიშვილი მოვიყვანე წარმოდგენაზე, ასეთი შემთხვევა არცკი მახსოვს, თუ ყოფილა ჩვენს ქალაქში, ჰოდა, ამას როგორ გამოვტოვებდი. ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვბრუნდებით შინ მე და ჩემი შვილიშვილი.

გოჩა წიკლაური — კასპელი გახლავართ, ეს გასართობი ცენტრი შარშან, შემოდგომაზე გაიხსნა და ბავშვებისთვის ძალიან კარგია, დღეს აქ მათთვის თეატრიც მოვიდა, ჩემი შვილიშვილები ვახტანგი და დარინა წიკლაურებიც დაესწრნენ წარმოდგენას და ძალიან გახარებულები არიან.

** რ. ქართლელიშვილი.**

მკითხველს შეუძლია მოგვაწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, საავტორო ნაწარმოებები. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე - კასპი, სააკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

# რეაბილიტაცია - მოასფალტების სამუშაოები დაიწყო

ქალაქ კასპში გრიშაშვილის, კოჯრის და თავისუფლების ქუჩების რეაბილიტაცია - მოასფალტების სამუშაოები დაიწყო, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "საგზაო სამშენებლო სამმართველო №1" ახორციელებს.

მშენებელმა სამუშაოები კოჯრის ქუჩით დაიწყო, სადაც გზის მოსამზადებელი სამუშაოების პარალელურად ბეტონის კიუვეტების მოწყობაც მიმდინარეობს. სამივე ქუჩის სიგრძე 2260 გრძივი მეტრია.





ქუჩების რეაბილიტაცია რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მასზე 550 500 ლარი დაიხარჯება. ინფრასტრუქტურული პროექტებიდან გზების მოწესრიგება, მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია. აღნიშნული ქუჩები, როგორც ფეხით მოსიარულეთათვის ისე ტრანსპორტისათვის გაუვალი იყო, განსაკუთრებით კი ნალექიან ამინდში. მშენებელი კომპანია პროექტს ივლისის ბოლოს დაასრულებს და მოსახლეობასაც არსებული პრობლემა მოეხსნება - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

"ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

კაცობრიობის არსებობის მანძილზე, პირველად, როდის, ან რომელმა ქალმა აღმართა ხელი და აღიმაღლა ხმა, ძალმომრეობის, უხეშობის, დამცირების წინააღმდეგ, დაიცვა თავისი უფლებები, ღირსება, თავისუფლება, - ვერ გეტყვით, მაგრამ, ვიცით, ბერძენი მეცნიერი ქალი, რომელიც, IV საუკუნეში, ბნელეთის მოციქულებმა, სამართლიანობისთვის აწამეს. ეს გახლდათ, პირველი ფიზიკოსი ქალი, მათემატიკოსი, ასტრონომი, ექიმი, ნეოპლატონიზმის თვალსაჩინო მიმდევარი ჰიპატია, რომელიც ალექსანდრიაში მხოლოდ იმისათვის დასაჯეს, რომ გამოესარჩლა და მოითხოვა უდანაშაულოდ დაპატიმრებული მეცნიერის გათავისუფლება... ფანატიკოსებმა მას 415 წლის მარტში, გამხეცებული ბრბო მიუსიეს, ეკლესიის გუმბათის ქვეშ აკუწეს და დაწვეს.

როგორც ჩანს, მეოთხე საუკუნეში, მეცნიერი ქალის დასჯა, იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ თანამედროვე ისტორიკოსმა, მომდევნო საუკუნეების მანძილზე არსებული ფაქტები, მსუბუქად მიიჩნია და აღმოხდა: ეკლესიაში ჩაიდინეს ის, რაც კაცობრიობის ისტორიაში, არც მანამდე და არც მას შემდეგ არ მომხდარაო.

დიახ, ამ ცნობას გვაწვდიან XX საუკუნეში, მაშინ, როცა, ისტორიის ანალებში უამრავი ასეთი ფაქტია გაბნეული, თუნდაც, ინკვიზიციის ხანძრებში დაფერფლილი, უდანაშაულო მანდილოსნებისა, ან, ევროპის მრავალ ქვეყანაში, ეშაფოტზე აყვანილი დედოფლებისა, თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, აქ არა გვაქვს, ჩვენი შუშანიკის წამება? ან, კახეთის ულამაზესი დედოფლის, ქეთევან წამებულის ისტორია, ირანში, შაჰ აბასის ჯალათებმა, გაუგონარი ცინიზმით რომ დასაჯეს, მამულის სიყვარულისა და რწმენისათვის...

ქალის სუსტ მხრებს, ხშირად, მძიმედ აწვა ძლიერთა უხეში ძალა, ბუნების მგლური კანონები, სტიქია და ისინიც იბრძოდნენ შვილებისა და სიცოცხლის გადასარჩენად, მამულის, ეზოკარის, ღირსების, თავისუფლების დასაცავად.

... უშეღავათო იყო ეს ბრძოლა, ხშირად, გარდაუვალი მარცხით...

ქალი იბრძოდა ყველგან და ყველაფრისთვის, მაგრამ, თუ მარცხდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო იყო. საჭირო და აუცილებელი გახდა გაერთიანება და ეს მოხერხდა მხოლოდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1910 წელს, კოპენჰაგენში, სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც, მიიღეს გადაწყვეტილება: ქალთა საერთაშორისო დღის - 8 მარტის დაწესების შესახებ.

საქართველოში, ქალთა ორგანიზაციას დასაბამი 70 წლის წინ დაედო. შეიქმნა პირველი ქალთა კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ქალი, აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი. მალე, ასეთმა კომიტეტებმა მოიცვა მთელი საქართველო და მათ შეუერთდა კასპის რაიონიც.

ქალთა კომიტეტის (საბჭოს) სათავეებთან იდგნენ ქალები, რომლებმაც შრომითა და ბრძოლით გამოიარეს მძიმე კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის, რეპრესიების, მეორე მსოფლიო ომის და მისი შემდგომი კატაკლიზმებით, ბრძოლებით, აღმშენებლობებით რთული, მაგრამ გამარჯვებებითაც სავსე წლები. ქალთა საბჭოების მუშაობა, რაიონებში, ბევრად იყო დამოკიდებული მათ ხელმძღვანელებზე, ამიტომ ირჩევდნენ განათლებულ, ავტორიტეტულ, ორგანიზატორული ნიჭის მქონე მუშაკებს. ასე იყო კასპშიც, გამორჩეული კვალი დატოვეს მარიამ ზარასპაშვილმა, სოფიო ელისაბედაშვილმა, მარიამ ფეიქრიშვილმა, ელისაბედ (ზიზო) სიდამონიძემ, დალი კორკომაშვილმა და სხვებმა, რომელთა გვერდით მომიხდა მუშაობა ამ ორგანიზაციაში, 60-იანი წლების შემდეგ. სოფელი

## საქართველოს ქალთა საბჭო - 70

# ქალის ხიბლითა და მაგალითით!

არ დარჩენილა, ღონისძიება არ ჩაგვეტარებინოს, ვხვდებოდით მშრომელ ქალებს მინდვრებში, ფერმებში, საწარმოებში... სპეციალურ საღამოებს ვუმართავდით ომისა და შრომის ვეტერანებს, მრავალშვილიან დედებს.

ამ ორგანიზაციას, კასპში, 90-იან წლებში ვხელმძღვანელობდი, რამაც, საშუალება მომცა ახლოს გამეცნო და უშუალო კავშირი მქონოდა ისეთ ცნობილ პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ საქართველოს ქალთა საბჭოს თავკაცები, ქალბატონები: აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ზინაიდა კვაჭაძე, (ნათელი ადგეთ!), აკადემიკოსები: მზექალა შანიძე, ნანა ხაზარაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, გუჩა კვარაცხელია, ალმასრულებელი დირექტორი ქეთევან გაბრუაშვილი და სხვები, რომლებიც დღესაც ქალთა უფლებების დაცვის სადარაჯოზე დგანან და დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებენ. არ დარჩენილა ღონისძიება, ან აქცია, საქართველოს ქალთა საბჭოს ეგიდით გამართული, სადაც მონაწილეობა არ მიგვეღო კასპელებს.

საქართველოს ქალთა საბჭო 70 წლისაა, სიცოცხლისუნარიანი, მონოლითური, მებრძოლი... გასახარია, რომ მას სათავეში უდგას ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქალბატონი მზექალა შანიძე.

არის ერთი მარადიული ფრაზა, რომელიც დიდმა გალაკტიონმა, ანდერძივით დაგვიტოვა: "დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია"!...

... დავდგეთ, ქალის ხიბლითა და მაგალითით!

**ნორა ედიშერაშვილი, ჟურნალისტი, კასპის რაიონის ქალთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.**

# წყალი სიცოცხლის ელექსირი

ქვემო გომის საჯარო სკოლაში ჩატარდა სამეცნიერო ხასიათის სანახაობრივი კონფერენცია სახელწოდებით "წყალი სიცოცხლის ელექსირი", რომლის ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელი ლარისა პავლიაშვილი. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული აქტუალური პროექტის ორგანიზატორებმა ღონისძიების პრეზენტაცია დაგეგმეს 22 მარტს, წყლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით... პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოსწავლეები და მათი მშობლები, პედაგოგები, აგრეთვე კასპის მეოთხე საჯარო სკოლიდან მოწვეული ქიმიის მასწავლებელი ნინელი ყაზარაშვილი და ბიოლოგიის მასწავლებელი ნანა ღვინიაშვილი. კონფერენციის დაწყებამდე სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს მოსწავლეთა ხელით შექმნილი თემატური ნახატების გამოფენა, შემდეგ კი, ლამაზად, თემატურად და სადად მორთულ საკონფერენციო ოთახში გადაინაცვლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საკონფერენციო ოთახში წარმოდგენილი იყო პროექტის უმთავრესი კომპონენტი — წყალი, სამი აგრეგატული მდგომარეობით: კერძოდ, ოთახის ფანჯრებზე ჩამოშვებულ ფარდებზე მოხდენილად იყო მიბნეული ხელოვნურად დამზადებული წყლის (აირადი მდგომარეობა) მოლეკულები, ოთახში, მაგიდებზე გამომწვევად იმზირებოდნენ სასმელი წყლით (თხევადი მდგომარეობა) სავსე გრაფინები, რომელთაც გვერდს უმშვენებდა ლამაზ ჭიქებში მოთავსებული ყინულის (წყლის მყარი მდგომარეობა) ნატეხები.

— თემის აქტუალობიდან გამომდინარე კონფერენციის მუშაობაში უფროსკლასელებთან ერთად ჩავრთეთ დაწყებითი კლასების მოსწავლეებიც, — საუბრობს პროექტის ხელმძღვანელი ლარისა პავლიაშვილი, — მართალია, პატარები მარტივ ენაზე, ბავშვურად პასუხობდნენ დასმულ შეკითხვებს, მაგრამ ეს ყველაფერი მათთვის იმდენად ადვილად აღსაქმელი იყო, რომ ვფიქრობ ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ. მაგალითისათვის ჩამოგითვლით იქ დასმულ შეკითხვებს: რისთვის იყენებთ წყალს თქვენ და თქვენი მშობლები? რა სახით გვხვდება წყალი ბუნებაში? უნდა გითხრათ, რომ ბავშვების ჩართვამ თემის განხილვაში ერთგვარი მრავალფეროვნება და რეზონანსი შესძინა პროექტს.

დაწყებითი კლასების მოსწავლეების მონაწილეობის ეპიზოდს უძღვებოდნენ ნინო ბიძინაშვილი და თათია თათარაშვილი, რომლებმაც შესანიშნავად მოირგეს წამყვანის როლები და აუდიტორიის შექებაც დაიმსახურეს. პრეზენტაცია ტექნიკურად უზრუნველყო პროექტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი აბეწვაშვილმა.

და მაინც, ყველაზე საინტერესო, სახალისო და პოზიტიური გახლდათ კონფერენციის მსვლელობისას გამართული დებატები... პროექტის ხელმძღვანელი ქალბატონი ლარისა პავლიაშვილი სვამდა შეკითხვებს, მაგალითად, ცხელი წყალი უფრო ეფექტურად აქრობს ხანძარს ვიდრე ცივი წყალი — მითია თუ რეალობა? ანდა, რატომ ატარებს დენს მხოლოდ წყალხსნარები? და სხვა. ამდენად, დასმულ კითხვებს სწრაფად, არგუმენტირებულად პასუხობდნენ მოსწავლეები და არა მხოლოდ ისინი... წყლის შედგენილობაზე, მის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე საინტერესოდ ისაუბრეს მოსწავლეებმა: თამარ მჭედლიშვილმა, მარიამ ნინიკაშვილმა და თათია რევაზიშვილმა. ძალიან საინტერესო იყო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატური რუბრიკა "იცით თუ არა რომ", რომელსაც უძღვებოდნენ მოსწავლეები: რუსუდან ბუქური და მარიამ ნაბახტეველი. სხვათა შორის, აღნიშნულმა რუბრიკამ დიდი მოწონება და დადებითი მუხტი შესძინა პრეზენტაციას, ვინაიდან სწორედ აქ გაჟღერდა საინტერესო ინფორმაცია წყლის შესახებ, მაგალითად, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული წყალი იყიდება ლოს-ანჯელესში, იქ ერთი ლიტრი წყალი ღირს 90 დოლარი, ნახევარი კილო ყავის საწარმოებლად საჭიროა 11 ათასი ლიტრი წყალი და ცხელი წყალი უფრო სწრაფად იყინება ვიდრე ცივი წყალი... მოსწავლეებმა გიორგი აბეწვაშვილმა, ვენერა როსებაშვილმა და თამარ რევაზიშვილმა პრეზენტაციაზე წარმოადგინეს სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული, თანასოფლელებთან ჩაწერილი ინტერვიუები, რომელიც ეხებოდა ადამიანის მიერ დღის განმავლობაში დოზირებული სასმელი წყლის მიღებას /2-3 ლიტრი/, მის რენტაბელურ გამოყენებას და წყლის ეკოლოგიას, ასევე, ბავშვებმა კონფერენციისათვის თავი მოუყარეს უამრავ ფოტო-მასალას წყალთან დაკავშირებით, კერძოდ აქ ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, რომ მოსახლეობა უნდა გაუფრთხილდეს წყალს, მას მეტი ყურადღება და პატრონობა სჭირდება.

— დღევანდელი თემატური, ამავე დროს ძალიან აქტუალური პროექტი იმითაც არის საინტერესო და საყურადღებო, რომ პროექტანტებმა ეს თემა განსხვავებული, მეტიც, ორიგინალური ფორმატით წარმოადგინეს, — განაცხადა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას ქვემო გომის საჯარო სკოლის დირექტორმა თამარ მამულაშვილმა, — ალბათ ამანაც განაპირობა ის ფაქტი, რომ კონფერენცია იყო არა მარტო შემეცნებითი, არამედ სანახაობრივადაც სახალისო, ფაქტიურად მასში ჩართული იყო მთელი დარბაზი, აქ ვერ ნახავდით პასიურ მსმენელს.

პრეზენტაციას მხატვრული ნაწილიც ახლდა, თანაც თემატური, საქმე ის გახლავთ, რომ მოსწავლეებმა ამ კუთხითაც გამოიჩინეს თავი. დიახ, მოსწავლემ დავით ნატროშვილმა ძალიან ლამაზად წაიკითხა ნიკო გომელაურის ერთ-ერთი ცნობილი ლექსი და აპლოდისმენტებიც დაიმსახურა, ხოლო თამარ მარიდაშვილმა, ვენერა როსებაშვილმა და თათია რევაზიშვილმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს სახელდახელოდ შედგენილი სცენარის მიხედვით დადგმული თემატური სკეტჩი "წყალბადისა და ჟანგბადის დებატები."

— ბევრს დავკარგავდი ამ კონფერენციას რომ არ დავსწრებოდი, იმიტომ, რომ პრეზენტაცია დატვირთული იყო სხვადასხვა კრეატიული ეფექტით, — აცხადებს მეოთხე საჯარო სკოლის მასწავლებელი ნინელი ყაზარაშვილი, — არ დამავიწყდება თანამედროვე დიზაინით მორთული საკონფერენციო ოთახი. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტში დაწვრილებით, ამავე დროს საინტერესოდ და მიზნობრივად იყო გაშუქებული წყალთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი.

კონფერენციას ერთი პატარა ექსპერიმენტიც ახლდა, რომლითაც გიორგი მჭედლიშვილმა დაამტკიცა, რომ თავის ტვინი წყლის აქტიური მომხმარებელია. თავის ტვინმა წყალზე მოთხოვნილება რომ დაიკმაყოფილოს სრულიად საკმარისია დღის განმავლობაში მივიღოთ 2-3 ლიტრი წყალი... კონფერენცია დასრულდა ერთსულოვანი მოწოდებით: "იმეგობრეთ წყალთან, წყალი სიცოცხლის, სილამაზისა და ჯანმრთელი სიბერის ელექსირია".



# ორი სპორტული მოედანი



ქალაქ კასპში ორი სპორტული მოედნის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. მიკრორაიონში, მირიან მეფის ქუჩაზე არსებული მოედნის აღდგენას, ხოლო ვარჯაანის დასახლებაში შატბერაშვილის ქუჩაზე ახალი მოედნის მოწყობას შპს "მადლი" ახორციელებს.



სამუშაოების ღირებულება 69 170 ლარია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. როგორც მშენებელი კომპანიის დირექტორმა თორნიკე თვარაძემ განაცხადა, სპორტული მოედნების სამუშაოები პროექტის ვადებში ჩაბარდება.



კასპში, მირიან მეფის ქუჩაზე ე.წ. რკინა-ბეტონის მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის ეზოში სკვერის და მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები გრძელდება. შემოიღობა სკვერი და სპორტული მოედანი, გაკეთდა ფანჩატური, მიმდინარეობს ფილების დაგება.



გახდი ჩვენი მკითხველი!

# ნათელი – გარდაცვლილი მეგობრების ხსოვნას!

სოფელ-ქვეყანაზე ამ მოჭიდავეებს მეტ-ნაკლებად იცნობდნენ და აფასებდნენ, საჭიდაო არენებზე გამოსვლისას არ აკლდათ ხალხის ტაში და სიყვარული და ამით მათი ახალგაზრდული სიცოცხლე თითქოს ერთმანეთს წააგავდა...

აი, გარდაცვალება კი განგებამ თითოეულს განსხვავებული არგუნა... სოფლებში – ზემო ხანდაკში, მეტეხსა და თეზში მათ საფლავებზე წლევანდელ გაზაფხულზე პირველად ამოიწვერა მწვანედ მოხასხასე ბალახი.



**გიორგი ქამხაძე (1. III. 1950 – 17. XII. 2015)**

დაიბადა სოფელ ზემო ხანდაკში და იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა.

1968 წელს შევიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მოგვიანებით, 1992-97 წლებში სწავლობდა თბილისის იურიდიულ-ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში იმუშავა 30 წელი (სპეციალური წოდება – "შინაგანი სამსახურის კაპიტანი").

იცავდა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება "დინამოს" ღირსებას და მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება ჭიდაობა სამბოში (14. VII. 1971 წ., მოწმობა № 84221).

სპორტული მიღწევების მოკლე ნუსხა:

1968 წელი: ქ. ცხინვალი, მოზარდთა პირველი რესპუბლიკური თამაშები – III პრიზიორი (კასპის გუნდის შემადგენლობაში) და ჩემპიონი (პირად ჩათვლაში);

1970 წელი: ქ. კასპი, საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში – ჩემპიონი (თბილისის გუნდის სახელით);

1971 წელი: ქ. ლიპეცკი, ახალგაზრდა სამბისტთა საკავშირო პირველობა – ჩემპიონი (6-ვე მეტოქე აშკარა უპირატესობით დაამარცხა);

1974 და 1975 – ქ. გროდნო და ვიტებსკი, ნსს "ბურევესტნიკის" სტუდენტური ჩემპიონატები სამბოში – ჩემპიონი;

1976: ქ. კურსკი, საკავშირო სტუდენტური საზაფხულო VII თამაშები – II პრიზიორი;

1979 და 1980 – ორივეჯერ ქ. ფრუნზე, სსრკ შ/ს სამინისტროს პირადი პირველობა ძიუდოში (+100 კილოგრამი) – შესაბამისად, ჩემპიონი და III პრიზიორი...

გიორგი ქამხაძე – რეფერი:

1979 წელს ქ. პოლტავაში ჩატარდა ნსს "ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა სამბოში, ორგანიზატორებმა ქართველი მსაჯი საპატიო სიგელით დააჯილდოვეს ობიექტური მსაჯობის ნიშნად.

2001 წლის ოქტომბრის ბოლოს "თბილისობაზე" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და სპორტკომიტეტმა გიორგი ქამხაძე დაასახელეს ქართულ ჭიდაობაში ღია პირველობის საუკეთესო მსაჯად და დააჯილდოვეს დიპლომით.

გიორგი ქამხაძე – საქართველოს 1975 წლის აბსოლუტური ფალავნობის III პრიზიორი:

25 წლის მოჭიდავის ოცნება, საკუთარი გვარი ოქროს ასოებით ჩაეწერა ქართული ჭიდაობის ისტორიაში, ანუ გამხდარიყო ფალავნის ტიტულის მფლობელი, დედაქალაქის სპორტის სასახლის დარბაზში დაიმსხვრა... თუ დაამსხვრიეს... გიორგი მარტოოდენ საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე დგომით დაკმაყოფილდა, რადგანაც იმ წელს მთავარი გამარჯვებული მისივე რაიონელი მოჭიდავე კი გახდა, ოღონდ, შეჯიბრების მთავარი მსაჯის სოფლელი... მოგვიანებით აკი ყველაფერი გაცხადდება ხოლმე, რაც დაზარალებულ პრიზიორს შვებას როდი გვრის.



**ელგუჯა გეჯაძე (17. IV. 1957 – 16. I. 2016)**

... ეს ამბავი ზუსტად 30 წლის წინ მოხდა:

1986 წლის 11-12 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში, ჩატარდა სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" გუნდური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ უძლიერესი გუნდები – თელავის, საგარეჯოს, მესტიის, დუშეთის, გორისა და კასპის რაიონების ნაკრებები.

კასპელმა მოჭიდავეებმა, მართალია, შედარებით, ახალგაზრდული შემადგენლობით იასპარეზეს (გუნდის ოთხი წამყვანი წევრი საკავშირო შეჯიბრებებზე გამოდიოდა), მაგრამ სხვებს ტოლი არ დაუდეს და ფინალში გავიდნენ. გადამწყვეტი, უმთავრესი ორთაბრძოლა გორელ მოჭიდავეებთან გამართეს და ფრედ (4:4) დაამთავრეს, ოღონდ მეტი წმინდა გამარჯვების წყალობით ტურნირის გამარჯვებულის სახელი დაიმსახურეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

ახლა, როცა ამ ერთი რიგითი, თუმცა მეტად პრინციპული, შეჯიბრებიდან გასულია 30 წელი, უპრიანი იქნება გუნდის იმჟამინდელი შემადგენლობის შეხსენება-დასახელება (წონითი კატეგორიების მიხედვით): გიორგი გორგაძე, ბერდია ბახტაძე, ზაზა ლალიაშვილი, სპარტაკ გორგაძე, კახა ხორბალაძე, კახა ხოდელი, გელა კენჭუაშვილი და თეიმურაზ დვალიშვილი.

... და, რა თქმა უნდა, უნდა ვახსენოთ ესოდენი გუნდური მიღწევის სულისჩამდგმელის – ელგუჯა გეჯაძის სახელი, საქართველოში ცნობილი მოჭიდავისა და იმხანად კი მწვრთნელისა, რომელმაც მოამზადა და სასახელო წარმატებისაკენ წარუძღვა მშობლიური რაიონის ნაკრებ გუნდს.

**პაატა ჯავახიშვილი (22. III. 1959 – 14. X. 2015)**



ერთი საუკუნის წინ სოფელ თეზში ჯავახიაანთ იოსებს გონება-გამჭრიახობით აფასებდნენ და სამტრო-სამოყვროში კაცური კაცის სახელით იცნობდნენ.

შვილიშვილს, პაატას, ძალ-ღონითა და ჭიდაობის ტრფიალით მას ადარებდნენ. გვარის გამგრძელებელი განგებისად ამაყი გულის პატრონი გამოდგა და ცხოვრებაში გზასავალს პირდაპირ, წარბშეუხრელად შეება, როგორც საჭიდაო წრეში სჩვეოდა ახალგაზრდობაში. თავის სოფელშიცა და მის გარეთაც თავი ბევრს არ წაუხარა, მაგრამ ის მეტოქე, ცხოვრება რომ ჰქვია, უფრო ძლიერი გამოდგა და...

მანამ, სანამ ჯანი მოსდევდა, საკავშირო-საქვეყნო საასპარეზოზეც მოსინჯა მარიფათი: ძიუდოისტ სოფლის სპორტსმენთა სპარტაკიადაზე და სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატზე პრიზიორობა ირგუნა.

ნათელი არ მოკლებოდეს გარდაცვლილი მეგობრების ხსოვნას!

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

# შეჯიბრი გეზრბენში

კასპის სტადიონზე ჩატარდა მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრი გეზრბენში ვაჟებში და გოგონებში. მასში მონაწილეობა მიიღო რაიონის 12-12-მა საჯარო სკოლამ. თითოეული გუნდი წარმოდგენილი იყო 2-2 მონაწილით. გოგონებისთვის განსაზღვრული იყო რბენა 800 მეტრზე, ვაჟებისთვის კი – 1000 მეტრზე.

გოგონებს შორის პირველი იყო ანა მამასახლისი (ახალქალაქის საჯარო სკოლა), მეორე – მარიამ ბერიაშვილი (სასირეთის საჯარო სკოლა), მესამე – ნანა ელიაშვილი (მეტეხის №2 საჯარო სკოლა). გუნდური ადგილებიც შესაბამისად განაწილდა: I – ახალქალაქის საჯარო სკოლა, II – სასირეთის საჯარო სკოლა, III – მეტეხის №2 საჯარო სკოლა.

ვაჟებს შორის საუკეთესო იყო კახა გულარაშვილი (კასპის №1 საჯარო სკოლა), II – თორნიკე დავლაშერიძე (ახალქალაქის საჯარო სკოლა), III – ლაშა ენუქიძე (ახალციხის საჯარო სკოლა).

გუნდური საპრიზო ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა: I – კასპის №1 საჯარო სკოლა, II – ახალქალაქის საჯარო სკოლა, III – ახალციხის საჯარო სკოლა.

შეჯიბრის ორგანიზატორი იყო კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება და კასპის №44 კომპლექსური სასპორტო სკოლა.

# ოლიმპიადის პირველი ეტაპი დასრულდა

ჩატარდა კასპის რაიონის მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული მორიგი შეჯიბრი მინი-ფეხბურთში. მასში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 16-მა საჯარო სკოლამ. I ადგილი დაიკავა სამთავისის საჯარო სკოლამ, II – კასპის №2 საჯარო სკოლამ, III – კასპის №4 საჯარო სკოლამ.

ამ შეჯიბრით დასრულდა სასკოლო ოლიმპიადის I ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა რაიონულ პირველობებს. შეჯიბრებები ჩატარდა სპორტის 9 სახეში. გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სასკოლო ოლიმპიადის II ეტაპზე – რეგიონალურ პირველობებზე, რომელიც დაიწყო აპრილის მეორე ნახევარში ქ. გორში. გამარჯვებულები კი გამოვლენ III ეტაპზე – საქართველოს პირველობებზე.

გარდა ამისა, სასკოლო ოლიმპიადის I ეტაპზე ქულათა ჯამით გამოვლინდნენ ის საჯარო სკოლები, რომლებმაც მიღწეული შედეგებით თავი ისახელეს და დაიკავეს საპრიზო ადგილები: I ადგილი - სოფელ ახალქალაქის საჯარო სკოლა (დირექტორი ნანა სურამელი, სპორტის მასწავლებელი ტარიელ ამირეზაშვილი), II ადგილი - სოფ. ახალციხის საჯარო სკოლა (დირექტორი მაია ბროლაძე, სპორტის მასწავლებელი შამილ ჯანგიშერაშვილი), III ადგილი – სასირეთის საჯარო სკოლა (დირექტორი ნანა ბარნაბიშვილი, სპორტის მასწავლებელი ნიკოლოზ მაზმიშვილი).

ოლიმპიადის ჩატარება ორგანიზებული იყო კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების (დირექტორი შ. გოგიაშვილი) და კასპის №44 კომპლექსური სასპორტო სკოლის (დირექტორი ჯ. სიდამონიძე) მიერ.

**კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.**

„ახალი განთიადი" ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და სახალისო ფოტოები!

* გაგრძელება

როგორია და რას წარმოადგენს, ვინ ვისთვის იბრძვის. საჭიროა მისი პოლიტიკური ფიზიონომიის გამოაშკარავება. საჭიროა იმათი ფიზიონომიის გამოაშკარავება, რომლებიც ფიქრობდენ ჯოჯოხეთის მანქანების დადგმას და რომლითაც ფიქრობდენ, აეფეთქებინათ ჩვენი მშენებლობა. ასე მესმის საკითხი. ეხლა მე რეგლამენტი მითავდება, მაგრამ მე მინდა ვილაპარაკო ზოგიერთ ლექტორებზე. მათ არ ესმით ესტ... მათ უნდათ, დაიცვან თავიანთი დისტრადიცია. მე აქ გამოსულ უკანასკნელ დოცენტს უნდა ველაპარაკო, ეს არის გაგება ჯავახიშვილის აგენტობის. აქ გამოსული მთელი რიგი მეცნიერებისა იყო ჯგუფი ჯავახიშვილის თეორიის დამცველების. ისინი არიან ფორმალისტები, არიან ძველი რეაქციონერები, ანტისაბჭოთა აზრს იცავენ, ასაბუთებენ ჯავახიშვილს...“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 79).

ყალიჩავა: (ასპირანტი): “შემდეგ რას წარმოადგენს წერეთელი და ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთ ერთი ფაქტი. როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშვინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლიუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა ჩემი ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები. ჩვენ კი ვერ დაგვამარცხებს ვერავითარი დაბრკოლება, გადავლახავთ ყველაფერს და წავალთ წინ სოციალიზმისაკენ“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 94).

ხარატიშვილი (ასპირანტი): “პროლეტარიატი მუდამ ყოფილა და იქნება გულახდილი და არ შეუშინდება არავითარი დაბრკოლებას, როგორც ამას ფიქრობენ ჩვენი მტრები ჯავახიშვილი და წერეთელიც (ტაში)“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 96).

კონტრადიევშჩინასთან ბრძოლის შედეგი. 1931 წლის 28 მაისს საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტიდან დაითხოვეს “ძველი პროფესურის“ წარმომადგენლები: ივანე ჯავახიშვილი, ანდრია ბენაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გრიგოლ წერეთელი, მიხეილ პოლიევქტოვი, გიორგი გეხტმანი.

***

დრო: 1936 წლის მარტი-აპრილი

მოვლენა: საბჭოთა ხელისუფლების მიერ ორგანიზებული დისკუსია საისტორიო ფრონტზე მდგომარეობის შესახებ ანუ ძველი პროფესურის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება.

ადამიანები — კარლო ორაგველიძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, წითელი პროფესორი): “მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ჯავახიშვილის მიერ ისტორიული მოვლენების “მეცნიერული“ გაგებისა. “ფაქიზმა ზნეობრივმა მოძღვრებამ ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოების ეს შეხედულება დიდად ამაღლებდა გლეხკაცობისა და ყმების ცხოვრების მძიმე ტვირთვის და პირადი შრომით მოპოებული ლუკმა-პურსა და ქონებას ზნეობრივი სიფაქიზის შარავანდედსა და კეთილშობილებას ანიჭებდა.

ჯერ ერთი, საკითხავია, რატომ ამ ზნეობრივმა მოძღვრებამ არ დაარწმუნა მუქთახორა ფეოდალები იმაში, რომ საკუთარი მუშაობით შეძენილი ქონება გააკეთილშობილებდა მათ? მეორე მხრით, ბუნებრივი იქნება, პროფ. ჯავახიშვილს ასეთი საკითხი დავუსვათ: რომ ზნეობრივ მოძღვრებას, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, არ “გაეკეთილშობილებია“ გლეხკაცობა და ყმები, ვინ მისცემდა მათ ნებას, მჩაგვრელი კლასებისა და მათი წარმომადგენლების მხარეზეა. ჯავახიშვილი არ ზოგავს ძალებს, რომ მთელი რიგი ქართველი მეფეები შესანიშნავ ფერებში დახატოს“ ... “ჯავახიშვილის თეორია ქართულ ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების საკითხში არამეცნიერული და აშკარად აპოლოგეტურია. ის გარკვევით რომლითაც ხასიათდება ახალ საუკუნეთა პერიოდები“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 174)... “პროფ. ჯავახიშვილს გათანაბრებული აქვს, უკეთ რომ ვთქვათ, ვერ ამჩნევს იმ ფეოდალურ სულით გაჟღენთილ და ბურჟუაზიული სახეებით შეფერადებული ჯგუფების არსებობას, რომლებიც

## დრო, მოვლენა, ადამიანები

# როგორ ღალატობენ ივანე ჯავახიშვილს

რომ არ ემუშავათ ფეოდალებისათვის?

განა ნათელი არ არის, რომ აქ ფაქიზი ზნეობრივი მოძღვრების გავრცელებითა და გავლენით იჩქმალება გლეხების საშინელი ექსპლოატაცია მემამულეების მიერ? განა ნათელი არ არის, რომ ზნეობრივი მოძღვრებით ცვლის პროფ. ჯავახიშვილი ფეოდალების მხრივ იძულებას გლეხებზე და მათზე ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბატონობას?

აქ თვალსაჩინოდ მჟღავნდება ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის მიერ ისტორიის იდეალისტური გაგება სამსახურს უწევს და ამართლებს ფეოდალურ ექსპლოატაციას“ ( გვ. 135)... “ჯავახიშვილი თითქმის მუდმივად ლაპარაკობს ქართველებზე და არ ცდილობს გამოარკვიოს კლასობრივი ბრძოლა მათ შორის. ამას მოითხოვს ვითომ მეცნიერული მიუდგომლობა. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასეთი მიუდგომლობა არ არსებობს. სინამდვილეში, თავისი ისტორიული კვლევის დროს პროფ. ჯავახიშვილი ატარებს ბურჟუაზიულ-მემამულურ ნაციონალისტურ თვალსაზრისს. მისი მიუდგომლობა მხოლოდ გარეგნულია და ობიექტივიზმი კი — ფიქტიური.

რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ჯავახიშვილის თანაგრძნობა აშკარად დგას ბატონ-ყმობის სისტემის გამართლების ნიადაგზე — ცდილობს წარმოგვიდგინოს იგი იდილიურ ფორმაში, კლასობრივ წინააღმდეგობათა გარეშე, როგორც ჰარმონიული სისტემა. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ გლეხთა მოძრაობას ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორაში“ ადგილი არ აქვს. ან რად უნდა ებრძოლათ გლეხებს თავისი მზრუნველებისა და მფარველების — პატრონების წინააღმდეგ? ჯავახიშვილის თეორიის მიხედვით ეს სულ გაუმართლებელი იქნებოდა და მისი ახსნა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა“ “მაგრამ ჯავახიშვილი, დგას რა თავის ბურჟუაზიულ-იდეალისტურ თვალსაზრისზე, უარყოფს სტალინის შეხედულებას. მისი აზრით, ერი არ არის ისტორიული კატეგორია, იგი მუდამ არსებობდა და იარსებებს. ჯავახიშვილს არ შეუძლია ისტორიული მასალებით დაასაბუთოს თავისი დებულება. პირიქით, ფაქტები, რომელთაგან ნაწილი თვით მას მოჰყავს თავის ნაშრომებში, მის წინააღმდეგ ლაპარაკობს“ ( გვ. 163).

ვ. ცინცაძე: “პროფ. ჯავახიშვილს ეტყობა (ობიექტურად) არასოდეს არ უცდია, თავი დაეხწია დახავსებული აზრებისაგან, თვალი გადაევლო და პრაქტიკა მიეღო იმ უდიდეს ისტორიულ ცვლილებებისაგან, მაშინ არსებობდენ და ერთმანეთს მწვავედ უპირისპირდებოდენ საზოგადოების შიგნით“

ნიკო ბერძენიშვილი: “ქართველი ერის ისტორიის ავტორი ტექნიკურ მომზადებულობით უეჭველად მაღალი ტიპის ისტორიკოსია. ევროპულ და აღმოსავლურ ენების მცოდნე, ფილოლოგი და ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი და არქეოლოგი, ფრთხილი და დინჯი მკვლევარი — ის სწორედ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა, რომ საქართველოს ისტორიის შენობის საშენი მასალა, ჟამთა სიღრმის ბურუსში მიმალული ფაქტები აღმოეჩინა, გამოემჟღავნებინა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიის წინაშე დიდი და საპატიოა. მან პირველმა გაბედა და საქართველოს ისტორიის ძველი ხანა გასწმინდა ზღაპართა ბურუსისაგან, რომელიც აგრე სქლად შემოხვეოდა მას. მაღალ ტექნიკური ხერხებით მოიპოვა და დაადგინა აურაცხელი ფაქტები.

ჩვენ დღეს, რა თქმა უნდა, მის მიერ მოპოვებულ ისტორიულ ფაქტებს თუ დადგენილ მოვლენებს კრიტიკულად უდგებით და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეთოდის მიხედვით ზოგს მივიღებთ, ზოგს კიდევ უკუვაგდებთ ან გადავაფასებთ და შევავსებთ; მრავალ ახალსაც აღმოვაჩენთ იქ, სადაც მან ეს ვერ შენიშნა (და არც შეეძლო შეენიშნა: ფაქტის მოპოვება ხდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რაც არსებობს, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რას ეძებ...).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ივანე ჯავახიშვილმა ძლიერად წასწია წინ ქართული ისტორიოგრაფიის საქმე.

მაგრამ ისიც ხომ უდავოა, რომ მან ქართული ისტორიოგრაფია სამარცხვინო ჩამორჩენილობიდან ვერ გამოიყვანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ჩვენი დღევანდელი სხდომა სულ სხვა ხასიათისა იქნებოდა...

“ქართველი ერის ისტორიის“ ავტორი ღვიძლი შვილია წვრილ ბურჟუაზიულ-ქართულ ინტელიგენციის ოჯახისა და მისი ინდივიდუალისტურ-იდეალისტურ იდეების მატარებელია. კვლევის ანალიტიკურ-ინდუქტიური მეთოდით და იდეალისტური მსოფლმხედველობით მოწინავე ისტორიოგრაფიის შექმნა ამ მარქსიზმის ეპოქაში, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო“

ლუკა ციხისთავი: “ქართული ბურჟუაზიულ იდეალისტური ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივ. ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ აკადემიური მახვილი ჩასცა მათ აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს.“

ჯინჯველაშვილი: “მიუხედავად მრავალი შრომებისა, რომელიც დასწერა ჯავახიშვილმა, კერძოთ, საქართველოს ისტორიაში, ვერ მოგვცა ჩვენი ხალხის ნამდვილი, კლასთა ბრძოლის ისტორია. მას, თითქმის გამოუკლებლივ, აღწერილი აქვს ყველა “მეფეების“ ისტორია, მათი თავგადასავალი, ომები, დეტალურათაც კი, მაგრამ მთავარი, რაც ამოძრავებს ისტორიას, კლასთა ბრძოლა, რომლითაც ხასიათდება საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ხალხთა ცხოვრება, მთლიანად დავიწყებულია.“

სიმონ ჯანაშია: “მე ვეთანხმები იმ ძირითად დებულებას, რომელიც მოხსენებაში იყო წამოყენებული პროფ. ჯავახიშვილის შესახებ. ეხლა სასაცილო იქნებოდა დაგვეწყო იმის მტკიცება, რომ ჯავახიშვილი მარქსისტი არ არის, ამას არც თვითონ ამტკიცებს და არც არავის სჯერა, რომ ის მარქსისტი არის.

რა თქმა უნდა, საქმე ამაში არ არის, არამედ საქმე იმაშია, რომ, როგორც აქ სამართლიანად იყო აღნიშნული, ჩვენ ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ უნდა მივიდეს ჯავახიშვილთან. ჩვენ ხომ ჯავახიშვილს ნიღილისტურათ ვერ შევხედავთ, რადგან ნიღილიზმი ჩვენი მეთოდი არ არის.

მაშ როგორღა უნდა მივიდეთ მასთან? ამის შესახებაც იყო აქ ნათქვამი და მეც იგივე შემიძლია გავიმეორო. ჩვენ ყოველთვის ვესაუბრებით აუდიტორიას და კონკრეტულ პრაქტიკულ მასალაზე (აი, ეს არის ჩვენი მეთოდი) უჩვენებთ, თუ როგორ უნდა მივიდეთ ჯავახიშვილთან, რა უნდა მივიღოთ მისგან, რა არ უნდა მივიღოთ და რაც უნდა მივიღოთ, როგორ უნდა მივიღოთ.

ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჯავახიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის. საკმარისია, მარტო ჩამოვთვალოთ ის შრომები, რომლებიც მას დაუწერია ან შეხედოთ წიგნთსაცავში იმ თაროებს, რომლებზედაც ჯავახიშვილის წიგნები აწყვია, რომ დაინახოთ, თუ ამ ადამიანს რა კოლოსალური შრომა ჩაუტარებია, რომლის ნაყოფი ასეთი მრავალრიცხოვანი ტომების სახით არის ჩვენს წინაშე წარმოდგენილი.

*დასაწყისი იხ. “ახალი განთიადი”№3

*დასასრული მომდევნო ნომერში

# ჩვენ ერთად ვქმნიდით გაზეთს

**წლების მანძილზე ჩვენ ერთად ვქმნიდით გაზეთს. მას თითოეულის ცხოვრებაში ნიადაგ გამორჩეული და საგანგებო ადგილი ეკავა და უკავია. ახლა, დროის უკუგადასახედიდან, ჩემს მეხსიერებაში თვითონ ისინი მესახებიან გამორჩეულ, განსაკუთრებულ ადამიანებად. ამიტომ შევეცადე, წლევანდელ ხსოვნის დღესთან დაკავშირებით, ჩვენი საყვარელი და ძვირფასი გაზეთის ფურცლებზე მცირე შემოქმედებით შტრიხებში გამეცოცხლებინა მათი სახე(ლ)ები, მეპატიოს, თუკი აწგარდაცვლილ განთიადელთა საგაზეთო გალერეაში ამჯერად მხოლოდ იმ ხუთეულის ვინაობას წარვუდგენ დღევანდელ მკითხველს, განგების ნებით ვის გვერდითაც მომიხდა სარედაქციო-საგაზეთო საქმიანობა ...**



## თამაზ შეშაბერიძე

ნებისმიერი მოკვდავის ნიჭსა და გონს თუკი წიგნი ულესავს ფხას, ასეთ კაცს უეჭველად და უტყუარად დავარქმევდი ნიჭი-ერს, გონი-ერსა და წიგნი-ერს. ჩემს ჯეილობაში სწორედ ასეთ პიროვნებად მესახებოდა თამაზ შეშაბერიძე — წინარეთაობის კასპელ ჭაბუკებსა და ვაჟკაცებში გამორჩეული, ლიდერი, ინიციატორი და ჭკვიანურ საქმეთა მცოდნე-მოთავე, უპირველესად, სწორედაც რომ პიროვნული განსწავლულობით, გონებრივი თვალსაწიერით, ცხოვრებისეულ საკითხ-პრობლემათა ანალიტიკურ-კრიტიკული შეფასების უნარით თუ ქართული მწერლობის კლასიკოსთა ექოხმიან ნაწარმოებთა სიღრმისეული განსჯა-განხილვის დონით.

... მესახებოდა-მეთქი, მერე კი უშუალოდ დავრწმუნდი მის არაორდინალურობაში, როცა სამხედრო სამსახურიდან მობრუნებულს კასპის პირველ სკოლაში პედაგოგად მომევლინა საუმაღლესოდ მოსამზადებელ ლიტკურსებზე და, მოგვიანებით კი, “განთიადის” სვე-ბედი როცა ჩააბარეს და რედაქტორის თანამდებობაზე ლიტერატორობდა, განთიადელობდა. ახლაც მიკვირს, მისეული გაქანებისა და შესაძლებლობის ლიტერატორ-კრიტიკოსი რატომ დასჯერდა არადედაქალაქურ ციცქნა გაზეთს, აკი თბილისელმა ახალგაზრდობის ხანის კოლეგებმა, უკვე ჯანმრთელობაგატეხილს, გასამხნევებლად მაინც დაუთმეს საასპარეზო გალაკტიონისეული ჟურნალის ფურცლებზე ... სამწუხაროდ, მეგობრები ხშირად აგვიანებენ ახლობლისათვის მხარშედგმას!

რა დამავიწყებს: ერთხელ, საქართველოს ახალგაზრდა ჟურნალისტთა ბიჭვინთის შემოქმედებით სემინარებზე, თამაზ შეშაბერიძის სახელით გავემგზავრე — გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულია, რედაქტორმა საგაზეთო საქმეებს თავი ვერ დააღწია, კვირაში სამჯერადგამომავალი გაზეთის გვერდები ნებისმიერი რედაქტორისათვის მარადუძღები და სალოლიავებელი შვილივით საზრუნავი იყო დღენიადაგ ...

წიგნიერების, მეხსიერების, განსწავლულობისა და ეტალონობის მანტიამორგებული მაინც ინარჩუნებდა დისტანციურობას სახელისუფლებო დიდმოხელეებთან ურთიერთობაში, თუმცა თავისი წილი ხარკი პარტიულ ნომენკლატურასაც გადაუხადა. იქნებ სწორედ მაშინ ეშლებოდა რაღაც, როცა ცარიელი ხელებით, შიშველი შუბლითა და წმინდა გულით ებრძოდა ცხოვრებისეულ გამოწვევებს, ვინ იცის!..

... გაზეთმა “განთიადმა” ბევრი რედაქტორი გამოსცადა და გამოიცვალა. კავთურისხეობელმა თამაზ შეშაბერიძემ შატბერაშვილისეული “მკვდრის მზის” გმირის დარად საჯილდაო ქვასავით მძიმე სარედაქტორო ტვირთი ლამის მკერდამდე ასწია...

... თვალადელი მელექსიკონე, თვალადურ (დედა)მიწაში დაივანებს.



## ლერი მუსხელაძე

ჩვენშიცა და უცხოეთშიც უამრავმა მეტ-ნაკლებად ცნობილმა მწერალმა და შემოქმედმა კალმოსნობა პატარა გაზეთში დაიწყო და სამწერლო გზა დიდი ლიტერატურისაკენ იქიდან გაიკვლია.

ლერი მუსხელაძეს ჟურნალისტური საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, რაიონული გაზეთი ეპატარავა და ამიტომ დედაქალაქურ-რესპუბლიკურ პრესა-ტელევიზიაში გაშალა მხრები: დააარსა რამდენიმე გაზეთი, დააფუძნა ჟურნალისტიკისა და სამართლის ინსტიტუტი, გამოსცა ჟანრობრივად განსხვავებული თემატიკის წიგნები.

თბილისში, ვერაზე, ერთხელ, ჩემი სამხედრო ჟურნალისტობისას, ვესტუმრე ნაცნობი საგაზეთო კორპუსის მეოთხე სართულზე როგორც რესპოდენტს — ავტორს წიგნისა “სამიზნეზე შემომჯდარი ბედისწერა” (ეძღვნება ე. წ. “აფხაზეთის ომში” გმირულად დაღუპული ჩვენი დროის გმირის — ტარიელ შარიფაშვილის — ხსოვნას) და ინტერვიუ ვთხოვე. საქმეში ჩაფლულობა, მოუცლელობა კი არ მოიმიზეზა, კითხვების ჩამოწერა მთხოვა და დაიტოვა, რამდენიმე დღეში კი მზა პასუხები დამახვედრა ხელნაწერის სახით.

დიდმოხელე კაცებს როგორც სჩვევიათ, არ უთხოვია, — დაბეჭდვამდე მასალა აუცილებლად წამაკითხეო. პროფესიონალ ჟურნალისტს უმცროსი კოლეგისადმი საქმიანი ურთიერთობის ეტიკეტის ნორმები არ ეშლებოდა, აკი მაშინ ნაჩუქარ ციცქნა წიგნს — “ოქროს ობობა” — ყდაზე ასეც წააწერა: — “ჩემს უმცროს მეგობარს — კოლეგას” ...

ახლა, მასზე მოგონების წერისას, მახსენდება შორეული 1973 წელი: იმჟამინდელი “განთიადის” რედაქტორის მოადგილე — ლერი მუსხელაძე — რედაქციიდან წავიდა და სარედაქციო-საშტატო გადაადგილებით გამოთავისუფლებულ ლიტმუშაკის ადგილზე ჯერაც 10-კლასდამთავრებულმა მივიღე მიწვევა... განგების ლოგიკური ჯაჭვი იკვრება: თავისი შანსის ძიებაში ერთი წავიდა და შანსი სხვასაც დაუტოვა!



## ალექსანდრე კახიშვილი

მშობლიური მხარე, მამა-პაპათა კერა მასზე მეტად ვინმეს ყვარებოდა, ასეთი ადამიანი იშვიათად მეგულება. წავიდოდა რომელიმე ისტორიულ-კულტურული ძეგლის სახილველად და მერე აუცილებლად მოიძიებდა მისი წარსულის დოკუმენტურ ფოლიანტებს, საგაზეთო მასალა უფრო ძარღვიანი რომ გამოსვლოდა... სალაშქროდ, საექსკურსიოდ სხვებსაც შეგვაგულიანებდა და თვითონვე გვიმეგზურებდა...

გასული საუკუნის 80-იან წლებში კასპის სავაჭრო ქსელის გასტრონომებისა და მაღაზიების ვიტრინებსა და ფასადებზე გამოჩნდა ჩვენი რაიონის კულტურული ძეგლების — ქვათახევის, რკონისა და სხვათა — ფართოზომიანი ფოტოები. ერთ-ერთზე ალექსანდრეც მოხვდა ფოტოობიექტივის კადრში — მხარზე იარაღგადაკიდებული რკონის სამონასტრო კომპლექსის დარაჯი გეგონებოდათ. იგი მართლაც რომ მოხალისე მცველი და მეხოტბე იყო თავისი კუთხისა, ლამაზი სიტყვისა, ერთგული მაქებარი — თავისი ყრმობის მეგობრებისა, კასპელი სპორტსმენებისა (მოჭიდავეებისა).

“განთიადში” დაუღლელად გაიხარჯა კორესპონდენტის, განყოფილების გამგის, მძღოლისა თუ ფოტორეპორტიორის ურთიერთმონაცვლე როლებში და ბოლოჟამს გორის რაიონის “სახალხო გაზეთსაც” შეაწია მადლიან-მარილიანი ქართლური სიტყვა.

ალექსანდრე კახიშვილის გარდაცვალებიდან ჯერ წლისთავი არ გასრულებულა.

იგი ჩვენი სამზეოდან გასული ბოლოხანიერი განთიადელია.



## დალი მელაძე

რაიონული (ვიგულისხმოთ პროვინციული) გაზეთების რედაქციები, საერთოდ, ყოველთვის განიცდიდნენ დიპლომირებული პროფესიონალების დეფიციტს (ათას მიზეზთა გამო...). ამიტომ იყო, ადგილობრივი ჟურნალისტები, ვისაც ნიჭიერების ნიშნული კალმის წვერზე მოერგოთ ...

დალი მელაძემ პროფესიული მზაობის სკოლა ყველაზე მეტად სამუზეუმო გარჯა-ფუსფუსში გაიარა და რაკი იქიდანაც ავტორობდა, მერე, უკვე რედაქციის შტატიან მუშაკს, აბა, საგაზეთო ფურცლებზე თემატიკური მრავალფეროვნების წარმოჩენაში ხელს რაღა შეუშლიდა... მომადლებული ალღო ჰქონდა საგაზეთო მასალის მოჩხრეკა-მოძიებისა, სულაც სოფლის ავტობუსში მოჩურჩულე ქალებისაგან ბაგესმენილ სიტყვას ისე ჩაეჭიდებოდა, სარედაქციო მაგიდასთან უმალ წერილის თემად აქცევდა და ახალი გმირის ამბავს მკითხველამდე ისე მიიტანდა, თითქოს ის ადამიანი ძველი ნაცნობი ყოფილიყოს.

დიახ, დალი მელაძეს ყველა საჭირბოროტო თუ სალხინო თემის წარმოჩენა ახასიათებდა, მაგრამ, უპირველეს-უმთავრესად, ადამიანთა ყოფისა და რაობის მთხრობელი იყო და ეს საქმე გამოსდიოდა, ეიოლებოდა და უყვარდა კიდეც — ათობით პიროვნების სახე(ლი) გააცოცხლა და დაასახლა “განთიადის” ფურცლებზე, უამრავი თანარაიონელი ცნობილი ადამიანის ერთგვარი საგაზეთო პანთეონი შექმნა. ამ გალერეაში ახლა მისი სახე(ლი)ც უნდა ვიგულისხმოთ.



## ზინა ქისტიშვილი

ლათინური ტერმინი “კორექტორი” ჩვენებურად ნიშნავს “გამსწორებელს”. ასეთი მუშაკის საჭიროება ყოველთვის არსებობდა რაიონული გაზეთის რედაქციაში. სტილისტის საშტატო ერთეული სხვა ყაიდის ფუფუნება იყო და ამიტომ კორექტორად მომუშავე, იმავდროულად, სტილისტიც უნდა ყოფილიყო და ავტორის ხელნაწერის პირველშემფასებელიც, გამწყობიც, გამმართველიც ... ამდენად, ქალბატონი ზინა პირველი მკითხველი იყო რედაქტორის მიერ დასაბეჭდად ვიზირებული და სტამბური წესით ლინოტიპის მანქანაზე აწყობილი ნებისმიერი მასალა-წერილისა და სწორედ იგი თავისი ხელმოწერით იძლეოდა დასტურს გაზეთის ახალი ნომრის დასაბეჭდად. ის ათეული წლების მანძილზე კორექტორობდა რედაქციაში და დღე-ღამეებს ათენ-აღამებდა მონოტონურ თვალსაკირკიტო საქმიანობაში.

განყოფილებათა გამგეებს და ლიტერატურულ მუშაკებს (ანუ კორესპონდენტებს) მორიგეობით გვიხდებოდა ნომერზე მორიგეობა, კორექტორი კი შეუცვლელი ფიგურა იყო ჩვენს დუეტში და გამწევი ლოკომოტივის წილი მასზე მოდიოდა.

თავგადადებული ბოლო მეციხოვნესავით კორექტორი-ქალბატონი იყო ის განთიადელი, ვისაც გაზეთის სახე (პრესტიჟი!) უნდა დაეცვა ფართო საზოგადოების წინაშე, ანდა, მოკირკიტე-მოსეირე მკითხველის თვალში.

... იგი იმგვარ დედას ედრებოდა, ვინც ოჯახის უფროსზეც ზრუნავს, შვილებსაც თბილ კალთას აფარებს, არც კერას აციებს და ცეცხლის ღველფს სულს უბერავს, ვინც სტუმარს ნათელი შუბლით ეგებება და მეზობელსაც მოხარშულ კვერცხზე მარილს უყრის!..

**ამირან ტალახაძე**

გამოგვეხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველას საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო,

2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გწყურთ...

გააცანით თანარაიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს.

ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ ეს გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი. გამოგვეხმაურეთ!


ჩვენი გაზეთის ეს ადგილი თქვენი რეკლამისთვის არის გათვალისწინებული!

განთიადი

ისარგებლეთ ჩვენი სარეკლამო მომსახურებით!



## შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" კასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიას შემდეგ თანამდებობაზე:

1. ელექტროშემდუღებელი - აირმჭრელის სტაჟიორი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი რეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 7 მაისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge













## გილოცავთ!

ლიკა და ზურა ბუნტურებს შეეძინათ ქალიშვილი. გულითადად ვუერთდებით მათი ოჯახისა და ახლობლების სიხარულს და ვულოცავთ ამ დიდ ბედნიერებას.

პატარა ნინი ბუნტურს ვუსურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს, ნათელ მომავალს, საამაყო და სასახელო შვილი გაზრდილიყოს, ღვთისმშობლის მადლი ჰფარავდეს, გამრავლდეს და გაძლიერდეს.

მეგობრები.

## გამორჩეული პროექტი

## "ცოცხალი წიგნები"



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გრძელდება საგანმანათლებლო-ლიტერატურული პროექტი "ცოცხალი წიგნები", რომელსაც ა(ა)იპ კავშირ პოეზიის მეგობართა კლუბი ახორციელებს.

14 და 15 აპრილს, თანამედროვე მწერლების: ქეთევან დუმბაძე, მარიამ წიკლაური, ბათუ დანელია, შორენა ლებანიძე, პაატა ნაცვლიშვილი, ზვიად კვარაცხელია, გვანცა ჯობავა, შოთა იათაშვილი მობილური ჯგუფი ეწვია კასპის მუნიციპალიტეტს.

14 აპრილს შეხვედრა შედგა სოფელ ქვემო ჭალის კულტურის სახლში, კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში, სოფელ მეტეხის ადმინისტრაციულ შენობაში;

15 აპრილს შეხვედრა შედგა სოფელ ახალქალაქში, ივ. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში /სოფელი ხოვლე/.

პროექტის ფარგლებში წიგნების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.



თვალადის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ სკოლის დირექტორს ნატო ცალქალამანიძეს დედის — ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებლის, ღვაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგის

დარეჯან ქიტუაშვილის

გარდაცვალების გამო.

კასპის მეორე საჯარო სკოლა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის პედაგოგი ნანული მენაბდიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.


რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76